საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია

NEWSLETTER

სექტემბერი, 2019

ყაზახეთის ელჩი საქართველოში ბიზნეს სექტორს შეხვდა

თბილისმა საქართველო-უკრაინის ბიზნესფორუმს უმასპინძლა

ელგუჯა მელაძე დამსაქმებელთა საერთაშორისო ორგანიზაციის წევრების რომში გამართულ ყოველწლიურ შეხვედრაში მონაწილეობდა

- ენგურჰესის თანამშრომლებს სიმაღლეზე უსაფრთხოდ მუშაობის ტრენინგი ჩაუტარდათ

- ბიზნესთან დიალოგის ფარგლებში შემოსავლების სამსახურის უფროსმა ბიზნესასოციაციების წარმომადგენლებს საგადასახადო სფეროში დაგეგმილი ინიციატივები გააცნო

დამსაქმებელთა ასოციაციამ ქუთაისში ბიზნეს სექტორთან შრომის უსაფრთხოების სფეროში არსებული გამოწვევების შესახებ იმსჯელა

„საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციამ“ ქუთაისში სასტუმრო „ბესთ უესტერნ ქუთაისში“ შრომის უსაფრთხოების კანონის ახალი მოთხოვნების შესახებ ბიზნეს სექტორთან საინფორმაციო შეხვედრა გამართა, რომელსაც ასოციაციის აღასრულებელი დირექტორი ლაშა ლაბაძე უძღვებოდა.

შეხვედრა მიზნად ისახავდა კერძო სექტორისთვის შრომის უსაფრთხოების სფეროში იმ ახალი გამოწვევების შესახებ ცნობიერების ამაღლებას, რომლის წინაშეც ბიზნეს ოპერატორები 2019 წლის 1 სექტემბრიდან აღმოჩნდნენ. კერძოდ, შეხვედრაზე განიხილეს კომპანიებისთვის ისეთი კრიტიკულად მნიშვნელოვანი და ფუნდამენტური საკითხები, როგორებიცაა შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონის მოთხოვნები დაზღვევის, პასუხიმგებელი მხარეების, რისკების შეფასების კრიტერიუმების, მონიტორინგის პროცესის, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის კვალიფიკაციის, სანქციების და აღსრულების მექანიზმების შესახებ.

„განსაკუთრებით დაბალია რეგიონებში შრომის უსაფრთხოების კანონის ახალი მოთხოვნების შესახებ ცნობიერება. ქუთაისი ეკონომიკურად საკმაოდ აქტიური ქალაქი, ამიტომ მსგავსი სახის შეხვედრების ორგანიზება აუცილებელია, რათა გავუწიოთ შესაბამისი კვალიფიციური კონსულტაცია აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. კერძოდ, შეხვედრაზე ვისაუბრებთ შრომის უსაფრთხოების კანონის მოთხოვნების შესახებ, ასევე გაეცნობიან, თუ რა ცვლილებები უნდა განახორციელონ სამუშაო ადგილებზე კანონის მოთხოვნების შესაბამისად, რათა თავიდან აირიდონ ის ფინანსური სანქციები და საქმიანობის აკრძალვის რისკებიც კი, რაც გათვალისწინებულია კანონის მიხედვით,“ - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ლაშა ლაბაძე.

შეხვედრას 50-მდე კომპანიის წარმომადგენელი ესწრებოდა, რომლებსაც საშუალება ჰქონდათ კითხვა-პასუხის რეჟიმში მათთვის საინტერესო კითხვებზე კომპეტენტური პასუხები მიეღოთ.

„საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია“ შეხვედრებს უახლოეს მომავალში საქართველოს სხვა რეგიონებშიც გამართავს.

ყაზახეთის ელჩი საქართველოში ბიზნეს სექტორს შეხვდა

„საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციისა“ და „საქართველოს მწარმოებელთა ფედერაციის“ ორგანიზებით ყაზახეთის რესპუბლიკის ელჩი საქართველოში ბაურჟან მუხამეჯანოვი ქართველ მეწარმეებს და საქართველოში მოქმედ ყაზახური კომპანიების წარმომადგენლებს შეხვდა.

„დღევანდელი ღონისძიების მიზანს ყაზახეთისა და საქართველოს ბიზნეს სექტორებს შორის კომუნიკაციების დამყარება და ამ გზით ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ხელშეწყობა წარმოადგენდა. ყაზახეთის ელჩის მხრიდან გაკეთდა ძალიან საინტერესო პრეზენტაცია ყაზახეთსა ქართულ და ყაზახურ კომპანიებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების პერსპექტივებზე. შეხვედრის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი კი მიმაჩნია, რომ კონკრეტული ბიზნეს პროექტების განხილვა იყო. მსჯელობის პროცესში პრიორიტეტულ მიმართულებებად ტურიზმი, ლოჯისტიკა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა და მშენებლობის სფეროები გამოიკვეთა,“- საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი ელგუჯა მელაძე.

ღონისძიების ფარგლებში „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციამ“ და „საქართველოს მწარმოებელთა ფედერაციამ“ ყაზახეთის საელჩოსთან გააფორმეს

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ფარგლებში სამომავლოდ დაგეგმილია ერთობლივი ბიზნესფორუმებისა და სხვადასხვა ბიზნეს აქტივობების ორგანიზება.

შეხვედრა საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა.

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის მორიგი ჯგუფი გაიხსნა

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაში შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების მოსამზადებელი აკრედიტებული პროგრამის ფარგლებში მორიგი ჯგუფი გაიხსნა.

კურსის მონაწილეების 130 საათიანი თეორიული და პრაქტიკული სწავლების დასასრულს ტესტირების საფუძველზე მიიღებენ შესაბამის სერტიფიკატებს.

შეგახსენებთ, რომ შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონი მიმდინარე წლის 1 სექტემბერს ამოქმედდა და ის ყველა ბიზნეს ოპერატორს ეხება!

ენგურჰესის თანამშრომლებს სიმაღლეზე უსაფრთხოდ მუშაობის ტრენინგი ჩაუტარდათ

შპს „ენგურჰესის“ თანამშრომლებისთვის „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაში“ სიმაღლეზე უსაფრთხოდ მუშაობის ტრენინგი ჩატარდა.

ტრენინგს დამსაქმებელთა ასოციაციის შრომის უსაფრთოების ექსპერტი დავით ჩიჯავაძე უძღვებოდა.

სიმაღლეზე უსაფრთხოდ მუშაობის ტრენინგი დაფუძნებულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) სტანდარტიზებულ მოთხოვნებს სიმაღლეზე უსაფრთხოდ მუშაობასთან მიმართებაში.

შპს „ენგურჰესის“ თანამშრომლებმა აიმაღლეს კვალიფიკაცია შემდეგი მოდულების მიხედვით:

- სიმაღლეზე უსაფრთხოდ მუშაობის წესები, თანმიმდევრულობა და პასუხისმგებლობები; მოთხოვნები დაცვის სისტემებისა და აღჭურვილობისადმი;
- კვანძები და მათი შეკვრა; თოკები და მათი ტიპები (თოკის გადაკიდება);
- ვარდნისგან დამცავი სისტემები;
- ზოგადი და სამუშაოსთან დაკავშირებული რისკები;
- აღჭურვილობის მოვლა;
- მოთხოვნები კიბეებისადმი (SOP1) და სხვა.
-

გარდა თეორიული ნაწილისა, ტრენინგი მოიცავდა პრაქტიკულ სწავლებას, რომლის ფარგლებშიც მონაწილეებმა შეასრულეს სიმულაციურ სავარჯიშოები.

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამა

"საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაში“ შრომის უსაფრთხოების აკრედიტებული კურსის ფარგლებში ახალი ჯგუფი გაიხსნა. სწავლება ორი თვე გაგრძელდება და ჯამში 130 საათს მოიცავს, რომლის დასრულების შედეგადაც გამოცდის საფუძველზე წარმატებულ კურსდამთავრებულებს სახელმწიფოს მიერ აკრედიტებული სერტიფიკატები გადაეცემათ.

კურსი მოიცავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ სწავლებას, რომლის მიზანია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებმა შეიძინონ საბაზისო ცოდნა სამუშაო ადგილებზე უსაფრთხოების ნორმების დასაცავად.

შრომის უსაფრთხოების აკრედიტებული პროგრამისადმი დაინტერესება მზარდია მას შემდეგ, რაც 1 სექტემბრიდან ძალაში შევიდა შრომის უსაფრთხოების კანონის ის პუნქტები, რომელიც ნებისმიერ ბიზნესოპერატორს ავალდებულებს სამუშაო ადგილზე წარმოდგენილი, ან მოწვეული ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. აღსანიშნავია, რომ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს გავლილი უნდა ჰქონდეს შრომის უსაფრთხოების აკრედიტებული პროგრამა და ფლობდეს შესაბამის სერტიფიკატს.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია ბიზნეს სექტორს ახალ გამოწვევებზე საპასუხოდ სთავაზობს არა მხოლოდ სასერტიფიკაციო პროგრამას, არამედ საკონსულტაციო, აუდიტორულ, აუთორსინგულ მომსახურებას და უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტის (ISO 45001) სტანდარტის დანერგვას.

ბიზნესთან დიალოგის ფარგლებში შემოსავლების სამსახურის უფროსმა ბიზნესასოციაციების წარმომადგენლებს საგადასახადო სფეროში დაგეგმილი ინიციატივები გააცნო

ბიზნესთანდიალოგის ფარგლებში შემოსავლების სამსახ ურის უფროსმა ბიზნესასოციაციების წარმომადგენლებს საგადა სახადო სფეროში დაგეგმილი ინიციატივები გააცნო

შეხვედრას „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის“ პრეზიდენტი ელგუჯა მელაძე ესწრებოდა.

შეხვედრის ფარგლებში, შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელმა ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს გააცნო მთავრობის ინიციატივა, რომელიც 2020 წლის 1 იანვრიდან დამატებული ღირებულის გადასახადით დაბეგვრის ახალ რეგულაციებს შეეხება. ვახტანგ ლაშქარაძემ, ასევე ისაუბრა უწყებაში არსებულ სიახლეებზე, დაგეგმილ რეფორმებსა და პროექტებზე.

შეხვედრა დიალოგის ფორმატში წარიმართა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს შესაძლებლობა მიეცათ მათთვის საინტერესო კითხვებზე მიეღოთ ამომწურავი პასუხები. შეხვედრის დასრულების შემდეგ, დაიგეგმა თემატური შეხვედრა დამატებული ღირებულის გადასახადით დაბეგვრის ახალი რეგულაციების შესახებ, რომელიც მრავალმხრივი ფორმატის ფარგლებში ჩატარდება.

თბილისმა საქართველო-უკრაინის ბიზნესფორუმს უმასპინძლა

თბილისმა საქართველო-უკრაინის ბიზნესფორუმს უმასპინძლა. ღონისძიება EU4Business-EBRD-ისა და უკრაინის ექსპორტის ხელშეწყობის ოფისის ინიციატივითა და უკრაინის ეკონომიკისა და ვაჭრობის განვითარების სამინისტროს, საქართველოში უკრაინის საელჩოსა და „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის“ მხარდაჭერით გაიმართა.

ბიზნესფორუმს ესწრებოდნენ 23 საკვები პროდუქტების (ხორცის, რძის, საკონდიტრო ნაწარმის, ყავის და ჩაის) მწარმოებელი უკრაინული კომპანია და აღნიშნული სფეროთი დაინტერესებული ქართველი მეწარმეები.

“აღნიშნული მრავალწლიანი ბიზნეს ურთიერთობების მიუხედავად, მიგვაჩნია, რომ ჩვენ ქვეყნებს შორის აუთვისებელი დიდი ეკონომიკური პოტენციალი არსებობს. გვაქვს მოლოდინი, რომ სწორედ დღეს გაჟღერებული ინფორმაცია ბიზნეს-საინვესტიციო გარემოს, ტურისტული პოტენციალის, მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების და რეფორმების შესახებ მეწარმეებისთვის იქნება გზამკვლევი შემდგომი კონკრეტული სამეწარმეო პროექტების დასაგეგმად. გვაქვს საფუძვლიანი მოლოდინი, რომ შევძლებთ, ეს ფორუმი

გამოვიყენოთ, როგორც სერიოზული ნაბიჯი ორ ქვეყანას შორის კომერციული საქმიანობის კიდევ უფრო წასახალისებლად და გასაძლიერებლად. „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის“ სახელით მოგახსენებთ, რომ მზად ვართ ნებისმიერ დროს ვუმასპინძლოთ და მხარი დავუჭიროთ მსგავსი ტიპის ღონისძიებებს,” - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი ელგუჯა მელაძე.

ბიზნეს ფორუმის ძირითადი ნაწილი B2B შეხვედრებს დაეთმო, რომლის ფარგლებშიც კომპანიებს საშუალება ჰქონდათ უკეთ გაეცნოთ კონკრეტული ბიზნეს ოპერატორები და დაესახათ სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები.

ბიზნესფორუმი სასტუმრო „შერატონ გრანდ თბილისი მეტეხი პალასში“ გაიმართა.

ელგუჯა მელაძე დამსაქმებელთა საერთაშორისო ორგანიზაციის წევრების რომში გამართულ ყოველწლიურ შეხვედრაში მონაწილეობდა

12-13 სექტემბერს რომში დამსაქმებელთა საერთაშორისო ორგანიზაციის (IOE) წევრების ყოველწლიური შეხვედრა გაიმართა, რომელშიც მონაწილეობას ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების წარმომადგენლები იღებდნენ. საქართველოდან შეხვედრას ბიზნეს გაერთიანება „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის“ პრეზიდენტი ელგუჯა მელაძე ესწრებოდა.

შეხვედრაზე განიხილებოდა შემდეგი ძირითადი საკითხები:

- ეროვნული სოციალური პოლიტიკა გლობალიზაციისა და მრავალმხრივი სავაჭრო სისტემის კონტექსტში.
- დამსაქმებელთა ორგანიზაციების გამოწვევები პოლიტიკურ და ეკონომიკურად ცვალებად გარემოში.
- ILO 2019 წლის საუკუნოვანი დეკლარაცია და შესაძლებლობები დამსაქმებლებისთვის.
- სამუშაოს ციფრული ტრანსფორმაცია და მისი გამოწვევები დამსაქმებელთა ორგანიზაციებისთვის. კერძოდ, ცვლილებები ბიზნეს მოდელებში, ინდუსტრიულ ურთიერთობებსა და სამუშაო უნარებში.

„გარდა გლობალური მნიშვნელობის მქონე თემებისა, რომელიც შეხვედრაზე განვიხილეთ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო შეხვედრის ის ნაწილი, რომელის ფარგლებშიც ILO-სა და IOE-ს მიერ საქართველოში მიმდინარე პროექტები და 2020 წლის გეგმები და აქტივობები განვიხილეთ. აღსანიშნავია, რომ ILO და IOE საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის მხარდაჭერით მრავალი წელია ახორციელებენ არაერთ პროექტს, რომელიც ბიზნეს სექტორის განვითარებას უწყობს ხელს. განსაკუთრებით ბევრი ბენეფიტის მომტანია მათი საქმიანობა ასოციაციის წევრი კომპანიისთვის,“ - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი ელგუჯა მელაძე.

საქართველოს დამსაქმებელა ასოციაცია, როგორც IOE-ს წევრი ორგანიზაცია საქართვველოდან ყოველწლიურად იღებს მონაწილეობას მსგავს მაღალი დონის საერთაშორისო შეხვედრებში.

სპეციალური შეთავაზება ასოციაციის წევრი კომპანიებისთვის

ბუტიკ სასტუმრო შოთა რუსთაველი, 4* სასტუმრო ქალაქის ცენტრში გთავაზობთ სივრცეს კონფერენციების, ტრენინგების და ბიზნეს შეხვედრების ორგანიზებისათვის. საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის წევრებისათვის იმოქმედებს სპეციალური ფასი .

დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ ვებ-გვერდს www.shotahotels.com.

ელ-ფოსტა: requests@shotahotels.com

SHOTA @RUSTAVELI Boutique Hotel

საკონტაქტო ინფორმაცია:

0159, თბილისი, ა. ბელიაშვილის ქ.#106

ტელ.: +995 32 2 14 73 73

მობ.: +995 579 555 551

ელ-ფოსტა: employer@employer.ge

ვებ: www.employer.ge